საოქტომბრო ვახტზე

საბჭოთა ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ნოემბერი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 259 (15776)

შეჯიბრების მოწინავენი

მუმეძის დასახლების III მიკრორაიონში ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მთავრდება. მშენებლებმა გადაწყვიტეს საექსპლოატაციოდ სახლი დიდი ოქტომბრის 56-ე წლისთავის წინადღეებში გადასცენ. 81 ოჯახი იზეიმებს აქ ახალმოსახლეობას. სურათზე: (მარცხნიდან) — კალატოზი გ. ქავთარაძე, ხურო ვ. ბუჯიაშვილი, ბრიგადირი ვ. გალდავა და მემონტაჟე ა. დიხტიარი.

ფ. კრიმსკისა და ბ. ბიბეაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲛᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ—ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲡᲒᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ჯ. მაჰარაძე) კოლექტივმა ხუთწლედის მეცამეტე წლის პირველ თვეებში დაშვებული ჩამორჩენა დაძლია, კვლავ მტკიცედ ჩადგა მოწინავე საწარმოთა მწყობრში და გაბედულად მიიწევს წინ ახალი მიჯნების დასაპყრობად. აი რაზე მეტყველებენ 10 თვის მუშაობის შედეგები. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 103,6 პროცენტით გაანადღდა, მოთმძარებელს გეგმის გადამეტებით 784 ათასი მანეთის პროდუქცია მიჰყიდეს. დავალების გადამეტებით გამომშვებულია 55 ტონა ნართი, 116 ათასი ცალი ტრიკოტაჟის თეთრეული, 48 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი. მნიშვნელოვნად გაუუჯობესებულია საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, სისტემატურად იზრდება ერთფეროვნული დახმარებისა და საპრემიო თანხები.

ამ წარმატების კომბინატის კოლექტივმა იმით მიაღწია, რომ სოციალისტური შეჯიბრება უფრო მიზანსწრაფული და მასობრივი გახდა, მთლიანად აღიკვეთილია ფორმალიზმი. საამქროებში ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება. სართავ საამქროებში მანქანების მომსახურების გაფართოებულ ზონას მოპუშავეთა თითქმის ნახევარი ემსახურება. ნორმას — ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში, რის ინიციატორიც ამ კომბინატის ნოვატორი მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არამანაშვილია, ახლა საწარმოში 100-ზე მეტი მუშა ასრულებს. აქ სისტემატურად იმის მეცადინეობაში არიან, რომ ნოვატორი მუშის შრომის დონეზე აიყვანონ ყველას მაჩვენებელი.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება იმისათვის, თუ კომბინატის მშრომელთა კოლონას საზეიმო მსვლელობის სათავეში რომელი ბრიგადა გაუძღვებოდა წინ. სართავ წარმოებაში ამ საპატიო უფლების მოსაპოვებლად 14 ბრიგადა იბრძოდა. შედეგები შეჯამებულია, და ეს საპატიო უფლება მოიპოვა მრთველთა ბრიგადამ, რომელსაც მალენინა ამხელელმა ხელმძღვანელობს.

საწარმოს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს შრომის ეს მაღალი ტემპი კვლავაც გააგრძელოს და ვადამდე გადალახოს ხუთწლედის მესამე წლის მიჯნები.

□ □

საკარმიდამოს ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ— ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!

მᲐᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ

ᲕᲔᲠᲢᲣᲕᲘᲐᲚᲔᲚᲛᲐ დიმიტრი ბლიაძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 3.000 კილოგრამი ყურძენი, კიტხელმა **გრიგოლ ელენტმა** — 2.394 კილოგრამი, **ვარდენ ზვიადაძემ** — 1.760 კილოგრამი, **ლევან წასიძემ** — 1.616 კილოგრამი, ლაშელმა **დიმიტრი შველიძემ** — 2.500 კილოგრამი, ხუნევეულმა **ემელიონ ლომიძემ** — 1.500 კილოგრამი, **გრიგოლ ლომიძემ** — 1.115 კილოგრამი, ვარძიელმა **გიორგი მაჩიტაძემ** — 1.254 კილოგრამი, მაქათუბნელმა **დავით დეკანოსიძემ** — 1.927 კილოგრამი.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ

ᲥᲝᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ არჩილ **გიორგაძემ** სახელმწიფოს მიჰყიდა საკარმიდამო ნაკვეთიდან მოკრეფილი 2.516 კილოგრამი ყურძენი, სავანელმა **გრიგოლ ბაბტურიძემ** — 1.075 კილოგრამი, **ნიკოლოზ გაბაძემ** — 1.180 კილოგრამი, ივ. **მაჭარაშვილმა** — 1.110 კილოგრამი, **გრიგოლ ბარბაქაძემ** — 1.075 კილოგრამი, არგვეთელმა **ა. კომლაძემ** — 1.750 კილოგრამი, **ანდრო იაშვილმა** — 1.470 კილოგრამი, საირხელმა **სერგო გრძელიშვილმა** — 1.420 კილოგრამი, სხვეტორელმა **სიმონ ზაბახიძემ** — 1.505 კილოგრამი, მახათაურელმა **ალ. ტოგონიძემ** — 1.380 კილოგრამი, ორღულელმა **ეორა ფოფხაძემ** — 1.300 კილოგრამი, ჭალელმა **მარიამ სალდობელაშვილმა** — 1.207 კილოგრამი.

Ჯ. ᲨᲘᲐᲗᲣᲠᲐ

ᲮᲐᲚᲘᲛᲬᲐᲣᲠᲘᲡ საშუალო სკოლის დირექტორმა **მიხეილ გაფრინდაშვილმა** სახელმწიფოს მიჰყიდა 1.900 კილოგრამი ყურძენი, წირქვალელმა **ანდრო ყაცოტაძემ** — 2.000 კილოგრამი, ხიდელმა ბრიგადირმა **პეტრე გაბრიელიძემ** — 1.800 კილოგრამი, მასწავლებელმა **გიორგი ხვედელიძემ** — 1.760 კილოგრამი, კოლმეურნე **ვალიკო გიორგაძემ** — 1.600 კილოგრამი, ხოლო **ბუდუ კუპატაძემ** — 1.280 კილოგრამი.

ᲮᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ

მთელი პლანეტის მილიონობით ადამიანი ამ დღეებში შეჰყურებს მოსკოვს. დიდი ოქტომბრის სახელოვანი პირშოს — ჩვენი სოციალისტური საშობლოს დედაქალაქში დამთავრდა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი, რომელიც 25-31 ოქტომბერს მიმდინარეობდა. მისი ტრიბუნიდან გაისმა ძლავრი მოწოდება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირებისათვის საბრძოლველად.

მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ისტორიაში ბევრი კეთილი საქმეა, ბევრი ავტორიტეტიანი შეხვედრა და შეკრება. მაგრამ ჯერ არასოდეს არ გამართულა ისეთი მასშტაბის ფორუმი, ესოდენ წარმომადგენლობითი შეკრება, როგორიც ეს კონგრესი იყო. მასში მონაწილეობდა 144 ქვეყნის 3.200-მდე დელეგატი. მათ თან ჰამოიტანეს თითქმის 1.100 ეროვნული და 120-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის განაწესი — გაერთიანონ სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების საზოგადოებრივ მოძრაობათა ღონისძიებანი. ეს მოწმობს, თუ რაოდენ ფართოა სოციალური ბაზა, რომელსაც ემყარება მშვიდობისმოყვარე ძალების კეთილშობილური მოძრაობა.

მოსკოვის კონგრესმა საფუძვლიანად განიხილა იმ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა ფართო წრე, რომლებიც დაკავშირებულია ბრძოლასთან სამართლიანი დემოკრატიული მშვიდობისათვის, უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. კონგრესზე მსჯელობა იყო ომისა და მშვიდობის ყველაზე მწვავე, საჭირბოროტო საკითხთა თაობაზე, როგორიც არის დაძაბულობის შენელება და განიარაღება, მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, ბრძოლა კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისა და პროგრესისათვის. თავისუფალმა ბრძოლამ ბელგრადის პლენარულ სხდომებზე და თოთხმეტ კომისიაში ხელი შეუწყო კონგრესის დელეგატებს შეემუშავებინათ საერთო პოზიცია, განეხაზღვრათ მოქმედების მკაფიო და კონკრეტული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია მიღებულ დოკუმენტებში.

კონგრესის მონაწილეებმა ჯეროვანი შეფასება მისცეს იმ უდიდეს როლს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ასრულებს ჩვენი პარტიის მიერ ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ხალხი მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მის კეთილშობილურ მისწრაფებას ყოველი ღონე იხმაროს, რათა გაიმარჯვოს დიდი ოქტომბრის მიერ გამოცხადებულმა და ვ. ი. ლენინის მიერ ნაანდერძევმა საქმემ — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმემ. ყველა კონტინენტის მშვიდობისათვის მებრძოლებმა ქმაყოფილებით და აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კონგრესზე, რომელშიც საფუძვლიანად და ყოველმხრივ გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, განმარტებული და დასაბუთებულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კონსტრუქციული მიდგომა მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემებისადმი, ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის გიგანტური მუშაობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ. მსოფლიო პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა გამსჭვალულია რეალიზმით, ხიდინჯით, რწმენითა და ოპტიმიზმით.

„თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამოხატულება იყო — თქვა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა, პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა. როცა ამ პროგრამას ვაყენებდით, ამოცანად ის მიგვაჩნდა, რომ ხელი შეგვეწყო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის, დავბარებოდით კაცობრიობას თავიდან აეცილებინა თერმობირთვული კატასტროფის ჩამოწოლილი აჩრდილი, ყოველნაირად შეგვეწყო ხელი დაძაბულობის შენელებისათვის. და ამ კეთილშობილური მიზნებისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ვმუშაობთ და კვლავაც ვიმუშავებთ ძალ-ღონის დაუზოგავად!“

მოსკოვის კონგრესი გაიმართა ლირშესანიშნავ, პასუხგაგებ ისტორიულ მომენტში. მშვიდობის ძალების წარმატების შედეგად თანდათან დაიწყო საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება. დიდი ძვრები მოხდა საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა და კაპიტალისტური სამყაროს ბევრი ქვეყნის ურთიერთობაში. ამ ბოლო დროს დადებულმა ხელშეკრულებებმა და შეთანხმებებმა გზა გაუხსნა კონფრონტაციიდან დაძაბულობის შენელებაზე, ურთიერთობის ნორმალიზაციისა და ნდობაზე გადასვლას. ევროპაში პოზიტიური ცვლილებების კონცენტრირებული გამოხატულება იყო უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მოწვევა. მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა ომის შეწყვეტა ვიეტნამში. სულ უფრო ფართოდ აღიარებული ხდება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

მთელი რიგი სამხედრო კერების ლიკვიდაცია, პირველი ნაბიჯები გამალებული შეიარაღების შეზღუდვის გზაზე, დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების სერია და სხვადასხვა ხაზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მუდმივი პოლიტიკური კონსულტაციები — ასეთია მსოფლიო ასპარეზზე მომხდარი ღრმა ცვლილებების თვალსაჩინო ნიშნები. ამასვე მოწმობს აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის სულ უფრო ფართო მასშტაბი. თვალნათლივ ჩანს ამ მტკიცე მშვიდობისათვის, საიმედო უშიშროებისათვის ბრძოლის წარმეტაანი და ხალხები ამას მხურვალედ იწონებენ, რაზედაც აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ კონგრესის დელეგატები.

შემობრუნება „ცივი ომისაგან“ დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ პლანეტაზე მოხდა ძალთა თანაფარდობის საერთო შეცვლა მშვიდობისა და პროგრესის ძალების სასარგებლოდ. ეს პოზიტიური ძვრები დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა პრინციპულ და თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკასთან. სოციალისტური თანამეგობრობა ხალხთა საყრდენია ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯია. დაძაბულობის შენელების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს. ახლანდელი ცვლილებები მნიშვნელოვანწილად საზოგადოებრივი ძალების საქმიანობის, ხალხის მასების აქტივობის ნაყოფიც არის.

სულ უფრო ნათლად ისახება მშვიდობისათვის ბრძოლაში სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებთან, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან იმ მასობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოძრაობებს' საქმიანი თანამშრომლობის მრავალსმომასწავებელი პერსპექტივები, რომლებიც გამოხატავენ ასეულ მილიონობით ადამიანის ნება-სურვილს.

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ დღეს საერთაშორისო ატმოსფერო მთლიანად უფრო ჯანსაღია, ხოლო

ПРАВДА

3. ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების პერსპექტივები სულ უფრო უკეთესი. უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველაფერი ვერა. ეს არის მხოლოდ დაწყებითი ეტაპი წინსვლისა დიდი მიზნისაკენ — კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის საიმედო უზრუნველყოფისაკენ. ჯერ კიდევ ბოლო ვერ მოეღო ომებსა და მძაფრ საერთაშორისო კრიზისებს. დედამიწაზე ჯერ კიდევ ხდება აგრესიისა და ძალადობის აქტები, შემორჩენილია კოლონიალიზმის უკანასკნელი საყრდენი პუნქტები. ჯერ კიდევ ვერ არის უზრუნველყოფილი ყველა ხალხის უშიშროება. და ამის შესახებ სამართლიანი შეშფოთებით ლაპარაკობდნენ მოსკოვის კონგრესის მონაწილეები.

ოქტომბერში უმაგალითო ინტენსიურობით იფეთქა დაძაბულობის კერამ ახლო აღმოსავლეთში. ამის მიზეზია ისრაელის მმართველთა ავანტიურისტული კურსი, რომლებიც ვერაგულად უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოთხოვნებს. ტელ-ავივის მმართველი წრეების აგრესიულ პოლიტიკაზე მფარველობენ და მხარს უჭერენ კაპიტალისტური სამყაროს ის წრეები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ პროგრესულად არაბული სახელმწიფოთა თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას. მშვიდობისმოყვარე ძალები მტკიცედ იღგნიან იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა, უშიშროება და საზღვრების შეუვალობა. კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დღევანდელი ვითარება მოითხოვს სწრაფ და ეფექტიან მოქმედებას“.

კატეგორიულად აუცილებელია მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში და ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სრულიად ევროპის თათბირის სრული წარმატებისათვის. მტკიცე მშვიდობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა სჭირდებათ აზიის ხალხებს და ამიტომ სულ უფრო მეტ მხარდაჭერას ჰპოვებს საბჭოთა კავშირის იდეა ამ კონტინენტის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა შეეხებამება აგრეთვე აფრიკას, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხთა ინტერესებს. სულ უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეჩერების პროცესი.

ხალხებს კარგად ესმით, რომ მშვიდობას საფრთხეს უქმნიან სავსებით გარკვეული ჯგუფები, ორგანიზაციები და ადამიანები. იმპერიალისტური რეაქციის ძალები იმედს ამყარებენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, ტერანიულ, ფაშისტურ რეჟიმებზე. მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებში მწვავე ტალღი გამოიწვია ჩილეს ტრაგედიამ. კონგრესმა მხურვალე სოლიდარობა გამოუცხადა ჩილელ პატრიოტებს და გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მათი სამართლიანი საქმე, რომლისთვისაც იბრძვიან უანელეს პირობებში, — დემოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმე — უძლეველია.

დღეს დედამიწაზე არ არის ძალა, რომ შეეძლოს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების გარდუვალი პროცესის უკან შემობრუნება. ხალხის მასები ისწრაფვიან უკეთესობისაკენ შეცვალონ მსოფლიო და კიდევაც შეცვლიან მას. საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი. იყო და კვლავაც იქნება კაცობრიობის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი აშკარად და არაორაზროვნად უცხადებენ სოლიდარობას თავის კლასობრივ ძმებს, რომლებიც ბაზღვარგარეთის ქვეყნებში იბრძვიან, სოლიდარობას განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობებს. ეს პოზიცია სრულებით არ ეწინააღმდეგება ბრძოლას მშვიდობისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. მას ეწინააღმდეგ ბრძოლა ეწინააღმდეგ ბრძოლას მშვიდობისმოყვარე ხალხები.

მშვიდობა ფასდაუდებელი განძია. მოსკოვის კონგრესის დელეგატებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ საერთო მეცადინეობით შეიძლება მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ იმ ხაარსებო ამოცანების რეალიზაციას, რომლებიც დასახა ბრძოლამ მშვიდობის განმტკიცებისათვის. ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ ხელი უნდა შეეუწყოთ ჯერ კიდევ არსებული შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგებას სამართლიან საფუძველზე, ევროპის, შემდეგ კი აზიის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, გამალებული ატომური და სხვა შეიარაღების შეწყვეტას, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. ახეთი კურსით წარმატებული წინსვლისათვის საჭიროა როგორც სახელმწიფოების და პოლიტიკური ძალების, ისე ფართო საზოგადოებრიობის ბეჯითი, აქტიური მეცადინეობა.

მშვიდობის გზაზე მიღწეული წარმატებანი განუხრელად უნდა ვითარდებოდეს. ეს გზა მომავალშიც არ იქნება ოფლი. უნდა დავძლიოთ ბევრი დაბრკოლება, მოვიგერიოთ მშვიდობის მტრების ბევრი კონტრშეტევა. საერთაშორისო ურთიერთობის ახალი პირობები, ახალი ეტაპი კვლავაც მოითხოვენ არა მარტო თანმიმდევრულობას, სიმტკიცესა და ენერგიას, არამედ აგრეთვე მუშაობის ფორმების სრულყოფას, ახალ მეთოდებს, იისეთი კონკრეტული ინიციატივების დროულად და ზუსტად წამოყენებას, რომლებიც ხელს შეუშლიან დაძაბულობის კერების წარმოშობას, დაძაბულობის შენელების პროცესის შეფერხებას. მოსკოვის ფორუმმა მოუწოდა ყველა ორგანიზაციას, პარტიასა და მოძრაობას განავითარონ თანამშრომლობის დიალოგისა და ერთობლივი მოქმედების ის სულისკვეთება, რომელიც კონგრესს ახასიათებდა.

ხალხის მასების, მათი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების აქტიური მონაწილეობა ომისა და მშვიდობის პრობლემათა გადაჭრაში თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მშვიდობისმოყვარე ხაზოგადოებრიობას თავის ამოცანად მიაჩნია, დაუცხრომლად, ფართო ფრონტით იღვწოდეს მთავარი მიზნის მისაღწევად: დაძაბულობის შენელება გახადოს მტკიცე, მყარ, შეუქცევად მოვლენად. დედამიწაზე უნდა გაიმარჯვონ გონივრულობამ და ნდობამ.

ამის გაგებით იყო გამსჭვალული მოსკოვის კონგრესის მთელი ჟუშაობა, იგი წითელ ზოლად გაჰყვება კონგრესზე მიღებულ დოკუმენტებს, რომლებიც კოლექტიური მეცადინეობის ნაყოფია. „მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი, — ნათქვამია კონგრესის მოწოდებაში, — ეს არის მსოფლიოს რიგითი ადამიანების რეაგირება არსებულ საფრთხეს და უსამართლობაზე. იგი მოგვიწოდებს ყველა ღონისძიება მოვაზმაროთ იმაა, რომ კაცობრიობის ცოდნა, შრომა და სიმდიდრე მოხმარდეს ადამიანთა კეთილდღეობას და არა ნგრევასა და ადამიანის დამონებას“.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის თვალსაჩინო მოვლენაა. მას სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოს ხალხთა პირველ გენერალურ ასამბლეას. კონგრესის ნაყოფიერ მუშაობას, მის დოკუმენტებს. რომლებიც გამოხატავენ ხალხთა ურყევ მისწრაფებას მშვიდობისადმი, ეხმაურება მსოფლიოს ყველა კუთხის მილიონობით ადამიანი. მოსკოვის კონგრესი ხელს შეუწყობს ყველა მშვიდობისმოყვარე ნაკადების შემდგომ აქტივიზაციას, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებას მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისათვის, ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის მშვიდობიანი განვითარებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐ, მაგისტრალის რკინიგზელები მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით კვლავ ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად. მათ ზედიზედ მესამედ მიაღწიეთ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის (ცენტრალური კომიტეტის) გარდამავალი წითელი დროშა.

განვლილ კვარტალში მაგისტრალის მშრომელებმა მიაღწიეს ტვირთზიდვის და შრომის ნაყოფიერების ზრდის ოფიციალურ სწრაფტემპს, ვიდრე გათვალისწინებული იყო სოციალისტური ვალდებულებებით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მოგებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რკინიგზა ტვირთავს თითქმის 9 პროცენტით მეტ სახალხო-სამეურნეო ტვირთს. მიმდინარე წელს განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა მანგანუმის, ქვანახშირის, შაფი ლითონების, ქიმიური და მინერალური სასუქების, ავტომობილების, მარცვლეულის, ჩაისა და ხილის ტვირთზიდვის მარშრუტიზაცია. ტვირთზიდვის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. საერთო ჯამონის საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა 5,3 პროცენტით გაიზარდა ეს 4,9 პროცენტით მეტია, ვიდრე ქვეყნის რკინიგზის ქსელში. (საქინფორმი).

ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

სამტრედია. საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ფლიური ქვეგმის შესრულება სამშობლოს 25 ოქტომბერს უპატაჟა. გამოშვებულია 16 მილიონ 700 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. გეგმა კი 16 მილიონ 200 ათას ქილას ითვალისწინებდა.

ქარხნის კოლექტივმა გადახედა თავის საშალეგლობებს და გადაწყვიტა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას ერთი მილიონი ქილა კონსერვი.

ეს რედაქციას აცნობა სამტრედიის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა პ. ნადირაძემ.

ᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲛᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ—ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲡᲒᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ჯ. მაჰარაძე) კოლექტივმა ხუთწლედის მეცამეტე წლის პირველ თვეებში დაშვებული ჩამორჩენა დაძლია, კვლავ მტკიცედ ჩადგა მოწინავე საწარმოთა მწყობრში და გაბედულად მიიწევს წინ ახალი მიჯნების დასაპყრობად. აი რაზე მეტყველებენ 10 თვის მუშაობის შედეგები. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 103,6 პროცენტით გაანადღდა, მოთმძარებელს გეგმის გადამეტებით 784 ათასი მანეთის პროდუქცია მიჰყიდეს. დავალების გადამეტებით გამომშვებულია 55 ტონა ნართი, 116 ათასი ცალი ტრიკოტაჟის თეთრეული, 48 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი. მნიშვნელოვნად გაუუჯობესებულია საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, სისტემატურად იზრდება ერთფეროვნული დახმარებისა და საპრემიო თანხები.

ამ წარმატების კომბინატის კოლექტივმა იმით მიაღწია, რომ სოციალისტური შეჯიბრება უფრო მიზანსწრაფული და მასობრივი გახდა, მთლიანად აღიკვეთილია ფორმალიზმი. საამქროებში ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება. სართავ საამქროებში მანქანების მომსახურების გაფართოებულ ზონას მოპუშავეთა თითქმის ნახევარი ემსახურება. ნორმას — ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში, რის ინიციატორიც ამ კომბინატის ნოვატორი მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არამანაშვილია, ახლა საწარმოში 100-ზე მეტი მუშა ასრულებს. აქ სისტემატურად იმის მეცადინეობაში არიან, რომ ნოვატორი მუშის შრომის დონეზე აიყვანონ ყველას მაჩვენებელი.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება იმისათვის, თუ კომბინატის მშრომელთა კოლონას საზეიმო მსვლელობის სათავეში რომელი ბრიგადა გაუძღვებოდა წინ. სართავ წარმოებაში ამ საპატიო უფლების მოსაპოვებლად 14 ბრიგადა იბრძოდა. შედეგები შეჯამებულია, და ეს საპატიო უფლება მოიპოვა მრთველთა ბრიგადამ, რომელსაც მალენინა ამხელელმა ხელმძღვანელობს.

საწარმოს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს შრომის ეს მაღალი ტემპი კვლავაც გააგრძელოს და ვადამდე გადალახოს ხუთწლედის მესამე წლის მიჯნები.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის მსოფლიო კონგრესზე „სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“. (საქინფორმი).

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲥᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შედეგად მარნეულის რაიონის მეთამბაქოეებმა და ბოსტნეულებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს შეტანისა და სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის ვალდებულებანი. შეტანილი. 29.639.510 ზონარმეტრი თამბაქო, ანუ დავალება გადაჭარბებულია 102,3 პროცენტით. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 895 ტონა სმელი თამბაქო. შარშან ამავე პერიოდისათვის მიყიდული იყო 692 ტონა.

რაიონის ბოსტნეულებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 25 ათასი ტონა ბოსტნეული ნაცვლად 17.040 ტონისა. სახელმწიფოს კიდევ მიეყიდება 1.500 ტონა ბოსტნეული. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ფულიევმა.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტ

საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თანამშრომლობისა და მშვიდობისათვის

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის კომუნიკე

1973 წლის 25-31 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი. საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიაში ეს იყო ყველაზე ფართო ფორუმი, რომელმაც გააერთიანა 120 საერთაშორისო და 1.100-ზე მეტი ეროვნული ორგანიზაციისა და მოძრაობის წარმომადგენელი 143 ქვეყნიდან.

შვიდი დღის გულახდილმა დისკუსიებმა, რომლებიც შემდინარეობდა კონსტრუქციული დიალოგის ატმოსფეროში, საშუალება მოგვცეს ყოველმხრივ, სხვადასხვა პოზიციის გათვალისწინებით განგვეხილა თანამედროვეობის აქტუალური და რთული პრობლემები.

მსოფლიო კონგრესი შემობრუნების მომენტი გახდა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლაში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეტანა სხვადასხვა პოლიტიკური და სხვა შესეფულების ორგანიზაციათა უკეთესი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებაში, რაც ერთობლივი მოქმედების ახალ სტიმულს მოგვცემს.

ბევრი რამ, რაც ამ ბოლო დროს მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე, იმედის მომცემი და შთამაგონებელია. ბერეულად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა იმის ნიშნები, რომ თანდათან გვშორდება ახალი, თავისი შესაძლებელი შედეგებით გაცილებით უფრო საშინელი კატასტროფის საფრთხე. მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდება როგორც მთავრობებში, ისე მთავრობებს გარეთ. ფართოვდება იმის გაგება, რომ ზრუნვა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის არ შეიძლება იყოს მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ვიწრო წრის საქმე. და ეს გაგება სტიმულს აძლევს დიდ, საშუალო, პატარა სახელმწიფოებს, რომლებიც შედიან სხვადასხვა ბლოკში. დაჯგუფებებში ან მიუმხრობელი არიან, უფრო აქტიურად შეიტანონ თავიანთი წვლილი დაძაბულობის შინელების, მტრობის, კონფრონტაციისა და გათიშულობისაგან საქმიანი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისაკენ ღირსშესანიშნავი შემოქმედების განმტკიცების მზარდ პროცესში.

მაგრამ ბევრი რამ, რაც ღღეს ხდება, გვაწუხებს და გვაშფოთებს. ზოგ რაიონში დაძაბულობის შენელებასთან ერთად ხდება დაძაბულობისა და აგრესიის გაღვივება სხვა ადგილებში, რაც გარდუვალად აუბედით კვალს აჩნევს მთელ საერთაშორისო ურთიერთობას. გამალებული შეიარაღების შენელების ღონისძიებანი ჯერ კიდევ აწყდება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების, მილიტარისტული, აშკარად ფაშისტური და რასისტული რეჟიმების სერიოზულ წინააღმდეგობას. დეკოლონიზაციის პროცესის მიუხედავად სხვადასხვა ფორმის კოლონიალიზმი ჯერ კიდევ არამცვს ხალხებს დამოუკიდებლობას და განუყოფელ უფლებას სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები იყვნენ საკუთარ ქვეყნებში. არის წინასწარგანზრახული ცდები განაახლონ „ცივი ომი“ და ამით შეაფრხონ საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღება, რომელიც ამ ბოლო დროს მიმდინარეობს.

ჩვენ ერთად ვმსჯელობდით იმის თაობაზე, თუ რა შეუძლიათ და რა უნდა იღონონ მშვიდობისმოყვარე ძალებმა ამ ვითარებაში, როგორ გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრის გავლენა. ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ აქტიურად და შეთანხმებულად უნდა ვიუწყობდეთ ხელს წინსვლას მშვიდობისა და უშიშროების საზღვრებში და განზე მოვიტოვოთ ყოველივე, რაც გვეყოფს. კონგრესის თოთხმეტმა კომისიამ თავიანთი ნაყოფიერი მუშაობის საფუძველზე შეაჯამეს გამართული დისკუსიების პოზიტიური შედეგები და შეიმუშავეს დასკვნები, საერთო მიდგომა იმ პრობლემებისადმი, რომლოთა წარმატებით ბრძოლა, დარწმუნებულო ვართ, ხახლება იმის გარანტია, რომ ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში მოპოვებული წარმატებანი დაბერებადებდა ჩვენს პლანეტაზე სამედო მშვიდობის დამყარებით.

ჩვენ უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებთ შემდეგ საკითხებს.

მშვიდობიანი თანაარსებობა და საერთაშორისო უშიშროება

მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ საყოველთაოდ არ ცნობენ და პრაქტიკაში არ გამოიყენებენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

მშვიდობიანი თანაარსებობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ არ იყოს ომი: იგი საშუალებას აძლევს თვითეულ ხალხს დაიცვას დამოუკიდებლობა და სუვერენობა შეუვალი საზღვრების ფარგლებში, აგრეთვე ამ საფუძველზე განაგითაროს ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხთა ურთიერთობას და ურთიერთმოქმედებას მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის.

მშვიდობიანი თანაარსებობა არ ნიშნავს, რომ უნდა შეეურიგდეთ უსამართლობას; პირიქით, იგი გულისხმობს აგრესიის ეფექტად მოგერიებას და ხალხთა უფლებას ყველა საჭირო საშუალებით იბრძოლონ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, თავისუფალ ცხოვრებისათვის. და სწორედ ამიტომ იგი შეესაბამება ხალხთა ინტერესებს და მათს ზნეობრივ წარმოდგენას იმ საწყისებზე, რომლებზეც უნდა აიგოს სამართლიანი მშვიდობა.

მშვიდობიანი თანაარსებობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში გამორიცხავს ძალის გამოყენებას, წინასწარ განსაზღვრავს დავისა და უთანხმოების მოწესრიგების მრავალფეროვან საშუალებათა მშვიდობიან ხასიათს. სწორედ ამიტომ არის იგი საერთაშორისო უშიშროების ყველაზე მტკიცე საფუძველი. ასეთი საფუძველი ვერ იქნება „შიშის წონასწორობა“: იგი მერყევი და საშიშია, რადგან ინარჩუნებს და ამართლებს ომისათვის მზადებას, ინარჩუნებს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის სამხედრო ფონს, ამწვავებს სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფის შეიარაღებულ დაპირისპირებას.

ამის ალტერნატივა — და სავსებით რეალური ალტერნატივა ის არის, რომ შეიქმნას უშიშროების პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური გარანტიები, მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაფძლიოთ მსოფლიოს გაყოფა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად, გადავჭრათ სამხედრო დაძაბულობის შენელების სხვა კარდინალური საკითხები. ამ გზაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია სრულად შასრულონ თავისი როლი, იყოს საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტიანი ინსტრუმენტი.

ინდოჩინეთი

ვიეტნამის ხალხის გამარჯვებამ, რომელიც განმტკიცებულია პარიზის შეთანხმებით, აგრეთვე ლაოსელი ხალხის გამარჯვებამ, რომელიც განმტკიცებულია შეთანხმებით და ოქმით ლაოსის შესახებ, — პატრიოტული ძალების დიდმა წარმატებებმა, რომლებმაც აიძულეს ამერიკის იმპერიალიზმი არსებით დათმობაზე წასულიყო, ჭეა გაუხსნის სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას მსოფლიოს ამ ნაწილში.

მაგრამ ამ ხალხთა საერთო მტერს ხელი არ აუღია თავის ხრიკებზე: გრძელდება ომი კამბოჯაში; საიგონის ადმინისტრაცია, ლაოსის რეაქციული ძალები ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეაფერხონ ხელმოწერილ შეთანხმებათა განხორციელება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მხარე ზუსტად და უთუოდ ასრულებდეს პარიზისა და ვიეტნამის შეთანხმებებს.

მოლიანად უნდა შეწყდეს საომარი ოპერაციები იმ რაიონების წინააღმდეგ, რომლებსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა; საიგონის ხელისუფლებმა უნდა გაათავისუფლონ და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს გადასცენ პოლიტიკური პატიმრები.

შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო საჭიროა აგრეთვე მოვითხოვოთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა სატელიტებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიის აქტები კამბოჯის წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევა — კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტისა და ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობის პოლიტიკური პროგრამის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად.

ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი ლაოსელ, კამბოჯელ და ვიეტნამელ ხალხებს, რომლებიც სხვადასხვა პირობებში იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

ახლო აღმოსავლეთი

ამასწინანდელმა სამხედრო აფეთქებამ ახლო აღმოსავლეთში ტრაგიკული ძალით დაადასტურა, თუ რაოდენ საშიშია, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ამ რაიონში ვერ მიაღწიეს მშვიდობიან მოწესრიგებას, რაც გამოიწვია ისრაელის განუწყვეტელმა აგრესიამ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, იმაზე, რომ ისრაელი არ ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, და არაბული ტერიტორიების ოკუპაციის შედეგებმა, რომელიც გრძელდება. მან აგრეთვე დაადასტურა, რომ თანაშედრეგე მსოფლიოში ისრაელის ასეთ შეურიგებლობას წარმატება ვერ მოჰყვება. უშიშროების საბჭოს უკანასკნელ გადაწყვეტილებას სწორედ ეს უდევს საფუძვლად და, არსებითად, ადასტურებს, რომ ახლანდელ საერთაშორისო ურთიერთობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ძალადაფარ ანექსიის დაკანონებას. ეს გადაწყვეტილებანი სახავენ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დაუყოვნებლივი, სამართლიანი და სრული მოწესრიგების-რეალურ გზას. ასეთი მოწესრიგების საფუძველია დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1973 წლის 22, 23 და 25 ოქტომბრის რეზოლუციები, ისრაელმა გამოიყვანოს მთელი თავისი ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს № 242 რეზოლუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას სრული გარანტია ამ რეგიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის კანონიერი უფლებების და უშიშროებისა, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის სამშობლოში დაბრუნებისა და თვითგამორკვევის უფლებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესაბამისად.

ევროპის უშიშროება და თანამშრომლობა

ევროპაში დაძაბულობის შენელების წარმატებანი შეესაბამება მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების გაუჯობესების საერთო ხაზს. ასევე ევროპაში დაძაბულობის შენელებისადმი წინაალმდეგობა მეჩიდროდ დაკავშირებულია კონფლიქტებთან და დაძაბულობასთან დედამიწის სხვა რაიონებში.

სწორედ ამიტომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველი ღონე ვიხმაროთ ევროპის უშიშროების განვითარების პროცესის დაჩქარებისათვის, გაფართოებისა და გაღრმავებისაკენ, ამასთან მოვიგერიოთ ყველა ცდა შეანელონ ან სასეი გუტეხონ ამ პროცესს. ეს არის მშვიდობისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომელიც მოითხოვს არა მარტო ევროპის კონტინენტის მთავრობების, არამედ აგრეთვე თვით ხალხებისა და სხვადასხვა საზოგადოებრიობის ორგანიზაციების სულ უფრო აქტიურ ღონისძიებებს. კერძოდ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გონივრულ ვადებში და უმაღლეს დონეზე მოაწერონ ხელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის დასკვნით დოკუმენტებს, აგრეთვე ისეთი მუდმივი ორგანოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა დაწყებული საქმის განვითარებას და უზრუნველყოფდა მის განგრძობას.

პოლიტიკური დაძაბულობის შენელება, რომელსაც ახლა პრიორიტეტი აქვს სამხედრო დაძაბულობის შენელების წინაშე, მაინც მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული. ამიტომ უნდა მივითხოვოთ, რომ უმოკლეს ვადებში დაიდოს შეთანხმება ევროპაში გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ, ცენტრალურ ევროპაში ეროვნული და უსაფრთხოების შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ. მაგრამ დაძაბულობის შენელების პროცესის გაფართოების მომენტში გარკვეული წრეები ცდილობენ ევროპის ეკონომიური გაერთიანება გადაქციონ სამხედრო ბლოკად და დამოუკიდებელი ატომური სამუალებებიც კი მისცონ მას. ასეთი ბიჯები რეალობად რომ იქცეს, სერიოზულ ზიანს მიაყენებენონ ოაძაბულობის შენელებას. პოლიტიკური და სამხედრო უშიშროების საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს თანასწორუფლებიანი ეკონომიური, მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული, როგორც მრავალმხრივი, ისე ორმხრივი, თანამშრომლობა. კერძოდ შეიძლებოდა დამყარებულიყო ევროპის სხვადასხვა ეკონომიური გაერთიანების, განსაკუთრებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების სასარგებლო კონტაქტები და ურთიერთობა. რაც შეეხება ყოველმხრივი კულტურული გაცვლის გაფართოებას, მან ხელი უნდა შეუწყოს ხალხთა ურთიერთგაგებასა და ურთიერთნდობას.

აზიის მშვიდობა და უშიშროება

აზიის მშვიდობასა და უშიშროებას საფრთხეს უქმნის უპირველეს ყოვლისა აგრესიის, ძირგამმთხრელი საქმიანობისა და აზიელთა ერთმანეთთან წაკიდების იმპერიალისტური პოლიტიკა.

აზიის ხალხებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბლოკებთან მიუმხრობლობის პოლიტიკა, რომელსაც აზიის ბევრი ქვეყანა ამორციელებს, ამ რაიონის მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია. ეს, თავისი არსით ანტიიმპერიალისტური პოლიტიკა, ეიმტანმელი ხალხის გმირული გამარჯვება ამერიკის იმპერიალიზმზე, ბანგლადეშის რესპუბლიკის შექმნა, აპარნელი ხალხის გამოსვლები მილიტარიზმის წინააღმდეგ, ინდოეთის სუბკონტინენტზე მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი — ყოველივე ეს იმპერიალისტთა ხრიკების წინაღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილია, რომლის შედეგად გადაჭრით შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მშვიდობისა და თავისუფლების სასარგებლოდ.

იმპერიალისტური აგრესიისა და ჩარევის შედეგად შექმნილი მთელი რიგი უსაშიროესი კონფლიქტებისა და კრიზისების მოწესრიგება კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს, თუ რამდენად მძაფრი და მასშტაბურია აზიის გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილიზაციას ამ კონტინენტზე. ღღეს მთავარი ამოცანაა, რომ ერთობლივი გაერთიანებული მეცადინეობით ჩავფუშოთ იმპერიალიზმის მანევრები. რომელიც ცდილობს ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, რათა მიაღწიოს თავის ნეოკოლონიალისტურ მიზნებს.

აზიის კოლექტიური უშიშროების ისეთი სისტემის შექმნის პოლიტიკა, რომელიც ღია იქნება აზიის ყველა სახელმწიფოსათვის, მათი სოციალური წყობილების მიუხედავად უნდა ემყარებოდეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, ავითარებდეს ბანდუნგის სულისკვეთებას. იგი, უთუოდ, ხელს შეუწყობს ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის ჯერ კიდევ არსებული ომის კერების დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია და უცხოეთის აგრესიისა და ჩარევის შედეგების დაძლევა. ამ გზაზე განუხრელად უნდა ვაძლიერებდეთ ბრძოლას, რათა აზია და წყნარი ოკეანის რაიონი გავათავისუფლოთ ატომური გამოცდებისაგან, უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და სამხედრო ბლოკებისაგან. ბანგლადეშის რესპუბლიკის რაც შეიძლება მალე მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და სამხრეთ აზიაში ვითარების სრული ნორმალიზაცია, ინდოეთის ოკეანის გადაქცევა მშვიდობის ზონად არსებითი ელემენტებია აზიის უშიშროებისა, რომლის იდეას სულ უფრო უჭერენ მხარს და იგი იმსახურებს, რომ დაინტერესებულმა ქვეყნებმა სერიოზულად განიხილონ. ასეთი სისტემა ხელს შეუწყობდა აზიის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას მათი განვითარებისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიალოგი, რომელიც დაიწყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივით, ახალი ნიბიჯია დემოკრატიულ საფუძველზე, გარიდან ჩაურეველად კორეის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე, თუმცა სამხრეთ კორეის ხელისუფლები დაბრკოლებებს უქმნიან ამ მიზნის მიღწევას.

აზიის ქვეყნების მთავრობებისა და მთელი საზოგადოებრივი ძალების წინაშე წამოიჭრა აუცილებლობა შეათანხმონ მიდგომა კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროების პრობლემებისადმი. ამ მიდგომის შემუშავებისას სასურველია მათ იხელმძღვანელონ მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო უშიშროების საყოველთაოდ აღიარებული საწყისებით, გაითვალისწინონ წამოყენებული კონსტრუქციული იდეები და პრინციპები.

განიარაღება

დაძაბულობის შენელების ატმოსფერო უნდა გამოვიყენოთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და განიარაღების პროცესებმა, რომლებიც ერთდროულად ვითარდება, სტიმული უნდა მისცენ ერთმანეთს. საქმე ეხება იმას, რომ გამალებული შეიარაღების შეკავებისა და შეზღუდვის ღონისძიებებიდან გადავიდეთ მათი შემცირების პრაქტიკულ ღონისძიებებზე, უპირველეს ყოვლისა აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი, რათა პერსპექტივაში განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება.

ამ მიზნებისათვის აუცილებელია:

— რომ ზუსტად სრულდებოდეს უკვე დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი განიარაღების შესახებ, რომელთა მნიშვნელობა ცხადია, და რომ მათ შეუერთდნენ ის ქვეყნები, რომლებსაც ჯერ ხელი არ მოუწერიათ ან არ დაუმტკიცებიათ ისინი;

— რომ ხუთივე ატომურმა სახელმწიფომ დადოს პაქტი ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც შეიცავს ვალდებულებას ატომური იარაღის გამოყენების სამუდამოდ აკრძალვის შესახებ, შეამცირონ თავიანთი სამხედრო ხარჯები და განთავისუფლებული სახსრების ნაწილი გამოიყენონ განვითარებადი ქვეყნების ხალხთა დახსმარებლად, უზრუნველყონ ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტა ყველა გარემოში, განახორციელონ შემდგომი პრაქტიკული ღონისძიებანი ბამალებული რაკეტულ-ატომური შეიარაღების, მისი სრულყოფის შეწყვეტისა და განიარაღებისათვის;

— რომ პრაქტიკულად განხორციელდეს წინადადებანი უატომო ზონების შექმნის, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის, უცხოეთის ტერიტორიებზე ატომური იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ;

— რომ რაც შეიძლება მალე გაიმართოს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია, უზრუნველყოფილი იყოს ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ დაწყებული მოლაპარაკების წარმატება.

ერთიანულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები იბრძვიან კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის:

ეროვნული განთავისუფლების ძალები მსოფლიო ანტიიმპერიალისტური მოძრაობის, საყოველთაო მშვიდობის დამყარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები თავიანთი ხალხებისა და ქვეყნების კანონიერი წარმომადგენლები არიან.

ღღეს საზარელი ანაქრონიზმია კოლონიური და რასისტული რეჟიმების არსებობა, რომლებიც ეყრდნობიან ტერორს, მილიონობით ადამიანის მართლაც რომ ბარბაროსულ ექსპლოატაციას. ამ რეჟიმებს სავსებით უმერს მხარს საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს მათ შენარჩუნებას და ამისათვის მიმართავს ყველაზე სამარცხვინო ხერხებს, აშკარა აგრესიას, კოლონიალიზმი და რასიზმი ამწვავებენ დაძაბულობას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ყოველმხრივი, ყოველნაირი მხარდაჭერა და დახმარება უნდა გავუწიოთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა გამმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლებიც იბრძვიან კოლონიური და რასისტული წესწყობილების წინააღმდეგ, თვითგამორკვევისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის.

უნდა მივაღწიოთ პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის კოლონიალისტური, ფაშისტური და რასისტული რეჟიმების სრულ იზოლაციას.

უნდა მივაღწიოთ იმ ხალხთა სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ესპანეთის კოლონიურ მონობაში. მშვიდობის მთელი ძალები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ მოლიანად და უკომპრომისოდ ხორციელდებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი რეზოლუციები კოლონიალიზმის, აპარტეიდისა და რასიზმის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. ეს ძალები აქტიურად იღვწიან აგრეთვე, რათა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია „რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების ათწლეული“.

მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფომ ცნოს გვინეა — ბისაუს რესპუბლიკა.

განვითარება და ეკონომიური დამოუკიდებლობა

საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების განვითარებადი პროცესი უკეთეს პირობებს უქმნის „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაჭრას. ამ პრობლემების გადაუჭრელობას, მათს გართულებას იმპერიალისტური ჩარევისა და ექსპლოატაციის შედეგად მოსდევს საერთაშორისო კონფლიქტების ახალი კერების, საშიში სიტუაციების შექმნის საფრთხე.

შეუწყნარებელია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მსოფლიოს უდიდეს ნაწილში არ აღმოფხვრილა კოლონიალიზმისა და კოლონიური სოციალური სტრუქტურების ნაშთები, რომ დედამიწის ბევრ რაიონში მძვინვარებს შიმშილი და დაავადებანი, არსებობს ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, გამეფებულია სიღატაკე. მითუმეტეს, რომ ყოველივე ამას აძლიერებს საერთაშორისო მონოპოლიების მონტაჟი და ზეგავლენა, რომლებიც ადგილობრივ რეაქციასთან კავშირით მხარს უჭერენ და ამკვიდრებენ ანტიხალხურ, აშკარად ფაშისტურ რეჟიმებს.

განვითარებადი ქვეყნების ხალხთა სიბეჯითისა და აღმშენებლობითს მეცადინეობას ქმედითი საერთაშორისო სოლიდარობის მხარდაჭერით შესწევთ უნარი გადაჭრან ეს მწვავე სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, აამაღლონ ცხოვრების დონე. ამას ხელი უნდა შეუწყოს სამხედრო ბიუჯეტების საყოველთაოდ შემცირებამ, პატივისცემამ ხალხთა უფლებისა იყოს თავიანთი ბუნებრივი რესურსების ბატონ-პატრონი, რაიმე პოლიტიკური პირობების წაუყენებლად განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევამ.

გარემო

კეთილმობრობა სულ უფრო ნათლად ხედავს საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია გარემოს გაუარესებასა და რღვევასთან. მსოფლიოს ხალხები საარსებოდ დაინტერესებული არიან, რომ შეინარჩუნონ დედამიწის — ჩვენი საერთო სახლის რესურსები. ეს კი მოითხოვს აქტიურ მრავალმხრივ საერთაშორისო თანამშრომლობას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ასეთი ღონისძიებათა ნაწილი უნდა გახდეს ბიჯითი და თანმიმდევრული ბრძოლა იმისათვის, რომ იმ სახსრების ნაწილი, რომლებიც იარაღისათვის იხარჯება, მოსმარდეს ეკონომიური ბალანსის შენარჩენებისა და ეკუმენიკოსების, ადამიანის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუჯობესების ღონისძიებებს.

უნდა მივაღწიოთ ადამიანის გარემოს იმ უაღრესად საშიში გაჭუჭყიანების შეწყვეტას, რომელიც ხდება ატომური გამოცდების, მოინარეებში, ზღვებსა და ოკეანეებში რადიაქტიური და მომწამლველი ნივთიერებების ჩაშვების შედეგად.

თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის დარგში

საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა, ადამიანთა შორის კონტაქტების გაფართოება შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს იმით, რომ განამტკიცებენ ადამიანთა და ხალხთა ურთიერთგაგებას, მოსპობენ უნდობლობას, ცრურწმენებსა და წინასწარშეგონებებს. მათი მიზანია ხელი შეუწყონ ბრძოლას ომის ფსიქოზის პროპაგანდის წინააღმდეგ, ფაშისტური და მილიტარისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ, შოვინიზმისა და რასიზმის, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ძირს უთხრის პიროვნების მორალურ სიჯანსაღეს. ასეთ ფილაქს მიეგებენ მსოფლიო იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლობა ამ დარგში განხორციელდება თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის, საშინაო საქმეებში ჩაურეველობის, ისტორიული ტრადიციებისა და კანონმდებლობის პატივისცემის დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე.

